

პროექტის აღწერა და მიზნები:

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევროპანკი) იხილავს 17.2 მეგავატი სიმძლავრის “ლუხუნი 2 ჰეს“-ის პროექტის განვითარება-მშენებლობის და ექსპლუატაციის დაფინანსებას, რომელიც განთავსდება მდინარე ლუხუნიზე, ამბროლაურის რაიონში სოფელ ურავთან.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი:

პროექტის ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი გაიზომება ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის მიერ პარტნიორი ბანკისათვის გამოყოფილი საკრედიტო ხაზიდან გამომდინარე და წარმოიქმნება პარტნიორი ბანკის პროექტების შეფასების უნარების გაუმჯობესებით და კორპორატიული მმართველობისა და ბიზნესის წარმოების სტანდარტების დანერგვით.

კლიენტი:

შპს „რუსთავი ჯგუფი“ არის საქართველოში დარეგისტრირებული საწარმო, რომელიც მიზნად ისახავს „ლუხუნი 2 ჰეს“-ის აგებას, და რომლის მფლობელები არიან შპს „რუსმეტალი“ (51%) და სს „საპარტნიორო ფონდი“ (49%).

ევრობანკის დაფინანსება:

5.55 მილიონი აშშ დოლარი.

პროექტის ღირებულება:

26.4 მილიონი აშშ დოლარი.

გარემოსდაცვითი ეფექტი

ევრობანკის 2014 წლის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიხედვით პროექტს მინიჭებული აქვს B კატეგორია.

“რუსმეტალმა” პროექტის მშენებლობა დაიწყო 2011 წელს. იმ მომენტისთვის, როდესაც ბანკმა დაიწყო პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება, მიწის შესყიდვა, ძირითადი და მისასვლელი გზების მშენებლობა, სათავე ნაგებობის და გვირაბის სამშენებლო სამუშაოები ნაწილობრივ დასრულებული იყო. მდინარეში სამუშაოები არ ყოფილა

დაწყებული. პროექტი არ მდებარეობს დაცული ტერიტორიის საზღვრებში ან სამომავლოდ დაგეგმილ დაცულ ტერიტორიაზე.

პროექტის გარემოზე ზემოქმედების კუთხით, ბანკის მიერ შეფასდა როგორც განხორციელებული ასევე სამომავლო სამუშაოები. პროექტთან დაკავშირებულ ნაგებობებია: მისადგომი გზები, დროებითი სამშენებლო ბანაკი და 35 კილოვატიანი გადამცემი ხაზი.

ბანკის მიერ ასევე შეფასდა წყლის გარემოზე ზემოქმედება, რომლის შედეგებიც ახლო მომავალში გამოქვეყნებულ იქნება „რუსმეტალის“ ვებ გვერდზე. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა პროექტის წყლის და ხმელეთის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებას, პოტენციურ სოციალურ ზემოქმედებას და ასევე შრომის უსაფრთხოების საკითხებს. აღნიშნული შეფასების შედეგად განისაზღვრა, რომ პროექტი აკმაყოფილებს ევრობანკის შესაბამის მოთხოვნებს. სპონსორსა და ევრობანკს შორის შეთანხმებულ იქნა გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელებასაც ეთანხმება სპონსორი. ასევე მომზადდა და სპონსორთან შეთანხმდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა და არატექნიკური რეზიუმე. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- პროექტის ოპერირებას ინტეგრირებული გარემოსდაცვითი და სოციალური გეგმის მიხედვით ISO 9001, ISO 14001 და OHSAS 18001 სტანდარტების შესაბამისად;

- წყლის ბიომრავალფეროვნების დაცვის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ღონისძიებებს;
- შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას;
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებას.

პროექტს მონიტორინგი გაეწევა ევრობანკის სტანდარტული წლიური მონიტორინგით და ბანკის სპეციალისტების წლიური ვიზიტებით.

ტექნიკური
თანამშრომლობა

პროექტისათვის ტექნიკური დახმარება განხორციელდა „მცირე ჰიდროელექტროსადგურებისათვის გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების შეფასების“ ფარგლებში, რომლის მიზანს წარმოადგენს ბანკის მიერ დაფინანსებული მცირე ჰიდროელექტროსადგურების ბანკის გარემოსდაცვით პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

კომპანიის საკონტაქტო
ინფორმაცია

დავით მინდელი
გენერალური დირექტორი
+99532 2970 118
Dmindeli@rusmetali.com

ბიზნეს შესაძლებლობები :

ბიზნესის შესაძლებლობებსა ან შესყიდვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დაუვაშირდით კლიენტის კომპანიას

ზოგადი ინფორმაცია:

შესყიდვების საკითხების გარდა პროექტთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხებზე ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით ევრობანკში:
ტელ: +44 20 7338 7168
Email: projectenquiries@ebrd.com

პოლიტიკა ინფორმაციის
საჯაროობის შესახებ (PIP)

ინფორმაციის საჯაროობის შესახებ შემუშავებულ პოლიტიკაში ჩამოყალიბებულია ევრობანკის მიერ ინფორმაციის საჯაროობისა

	<p>და აქციონერებთან კონსულტაციების მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება უკეთესი საზოგადოებრივი შემეცნებისა და მისი სტრატეგიების, პოლიტიკისა და ფუნქციონირების შესახებ ინფორმაციის გაცნობისათვის.</p> <p>ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის შესახებ დეტალები იხილეთ: http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm</p>
<p>პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)</p>	<p>ცალკეული პირების , ხალხთა ჯგუფის , ასევე ორგანიზაციების მიერ, ევრობანკის დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად ევრობანკმა შეიმუშავა პროექტის გასაჩივრების მექანიზმი. ეს მექანიზმი მოქმედებს როდესაც არსებობს ვარაუდი არსებული ან შესაძლო ზიანის შესახებ. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის განმსაზღვრელი წესებისა და პროცედურების გასაცნობად იხილეთ შემდეგი ბმული: Project Complaint Mechanism</p> <p>პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში ნებისმიერი საჩივარი წარმოდგენილი უნდა იქნეს პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესების და პროცედურების შესაბამისად. თუ გსურთ, გაიგოთ კონკრეტულად რა ვადებშია შესაძლებელი საჩივრის წარმოდგენა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პასუხისმგებელ პირს შემდეგ მისამართზე: pcm@ebrd.com)</p>